

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №236

2011 წლის 14 ივნისი

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 1. „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე	– საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
კომისიის წევრი	– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;
კომისიის წევრი	– საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი;
კომისიის წევრი	– საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი;
კომისიის წევრი	– საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე;
კომისიის წევრი	– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე/მოადგილე – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე;
კომისიის წევრი	– საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
კომისიის წევრი	– საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
კომისიის წევრი	– სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსი;
კომისიის წევრი	– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსი;
კომისიის წევრი	– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსის მოადგილე;
კომისიის წევრი	– სსიპ – კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე;
კომისიის წევრი	– საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე;
კომისიის წევრი	– საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე.

2. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის თანდართული დებულება.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 20 სექტემბრის დადგენილება №404 - ვებგვერდი, 21.09.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის დადგენილება №46 – ვებგვერდი, 04.03.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ოქტომბრის დადგენილება №599 – ვებგვერდი, 28.10.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 7 ივნისის №45 დადგენილება.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური



**საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო
დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის
შემსწავლელი კომისიის დებულება**

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება შემუშავებულია „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

2 კომისია არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია (შემდგომში – კომისია).

3. კომისია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს – „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით/განკარგულებებით, კომისიის გადაწყვეტილებებით, ამ დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

4. ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ საქართველოს კანონში, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 2. კომისიის უფლებამოსილებები

1. კომისია უფლებამოსილია, განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, საქართველოს მთავრობას წარუდგინოს წინადადება:

ა) ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის შესახებ;

ბ) საწარმოს მიერ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, რესტრუქტურირების ვადამდე შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ;

გ) ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების ვადამდე შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ, საწარმოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;

დ) უიმედო სესხად აღიარებული სასესხო დავალიანების ჩამოწერის შესახებ;

ე) ცალკეული სასესხო დავალიანების გარკვეული ოდენობით ან სრულად პატიების შესახებ;

ვ) ცალკეული სასესხო დავალიანების დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობის შესახებ.

2. კომისია უფლებამოსილია, განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) რესტრუქტურირებული სასესხო დავალიანების გრაფიკით დარჩენილ გადასახდელ თანხაზე დასარიცხი სარგებლის ოდენობის თაობაზე, რომელიც განისაზღვრება არანაკლებ წლიური 6%-ის ოდენობით;

ბ) სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების დროს გადასახდელი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობის თაობაზე;

გ) ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების რეჟიმში მომუშავე საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად გაფორმებულ გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ;

დ) საწარმოს წერილობითი მოთხოვნით, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების რეჟიმში მომუშავე საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად გაფორმებულ გრაფიკში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ (თუ საწარმომ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების პერიოდში წინასწარ (ვადამდე) დაფარა რესტრუქტურირებული თანხის ნაწილი ამ პერიოდისათვის დარიცხულ შესაბამის სარგებელთან ერთად), მათ შორის, სარგებლის თანხის შემცირების თაობაზე;

ე) საწარმოს წერილობითი მოთხოვნით, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების ვადამდე შეწყვეტის შესახებ (თუ საწარმომ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების პერიოდში წინასწარ (ვადამდე) სრულად დაფარა რესტრუქტურირებული თანხა ამ პერიოდისათვის დარიცხულ შესაბამის სარგებელთან ერთად);

ვ) ცალკეული სასესხო დავალიანების მესამე პირისათვის გადაკისრების თაობაზე;

ზ) ცალკეული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების ოდენობის დაზუსტების შესახებ, ამ დავალიანების საწარმოსაგან დამოუკიდებელი მიზეზებით წარმოშობის გათვალისწინებით.

3. კომისია უფლებამოსილია, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული



მუხლი 3. კომისიის მუშაობის რეგლამენტი

1. კომისია თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე.

2. კომისიის სხდომას საჭიროების მიხედვით იწვევს კომისიის თავმჯდომარე.

3. კომისიის სხდომის მომზადებას, გამართვას, საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების და კომისიის მიერ საკითხზე არსებითი გადაწყვეტილების თაობაზე სსიპ - შემოსავლების სამსახურის, საწარმოს ან სესხის გამცემისათვის ინფორმაციის მიწოდებას, სხვა ორგანიზაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას და კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სახაზინო სამსახურის (შემდგომში – სახაზინო სამსახური) სახელმწიფო სესხების და სადეპოზიტო ოპერაციების დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი).

4. დეპარტამენტი კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, კომისიის თავმჯდომარის მიერ სხდომის გამართვის თარიღისა და კომისიის სხდომის სავარაუდო დღის წესრიგის განსაზღვრის მიზნით.

5. სავარაუდო დღის წესრიგი, სათანადო ინფორმაციასა და შესაბამის მასალებთან ერთად, სხდომის თარიღამდე არა უგვიანეს ორი დღისა, წარედგინება კომისიის წევრებს.

6. სავარაუდო დღის წესრიგში შესაძლებელია, განხორციელდეს ცვლილება, რაც გულისხმობს საკითხის განსახილველად დამატებას, განსახილველი საკითხის დღის წესრიგიდან ამოღებას და/ან გადადებას კომისიის სხვა სხდომაზე განსახილველად. საკითხის განხილვა შეიძლება გადაიდოს იმ შემთხვევაშიც, თუ განხილვის პროცესში გაირკვა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამატებითი დოკუმენტების წარდგენა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დამატებულ საკითხთან დაკავშირებული მასალები კომისიის წევრებს გადაეცემათ უშუალოდ სხდომაზე.

8. კომისიის სხდომაზე მტკიცდება დღის წესრიგი სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.

9. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

10. კომისიის სხდომაზე კომისიის წევრის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისიის სხდომაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს კომისიის წევრის (გარდა პარლამენტის წევრისა) მიერ განსაზღვრულმა უფლებამოსილმა პირმა ან კომისიის წევრის უფლებამოსილების განმახორციელებელმა პირმა. ამ შემთხვევაში, კომისიის სხდომაზე წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. უფლებამოსილი და უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი სარგებლობს ყველა იმ უფლებამოსილებით, რაც გათვალისწინებულია კომისიის წევრისათვის.

11. კომისიას უფლება აქვს საკითხის შესწავლისას მიიწვიოს საწარმოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

12. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.

13. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა, ხოლო ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

14. კომისიის სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება სხდომის ოქმი, რომელშიც ასევე აისახება კომისიის გადაწყვეტილება.

15. კომისიის სხდომაში მონაწილე კომისიის წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რაც გადმოიცემა წერილობითი ფორმით. კომისიის წევრის წერილობით ჩამოყალიბებული განსხვავებული აზრი დაერთვის კომისიის სხდომის ოქმს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

16. კომისიის სხდომას ესწრება და სხდომის ოქმს ადგენს დეპარტამენტის ერთ-ერთი თანამშრომელი.

17. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები (უფლებამოსილი პირები).

18. კომისიის გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 4. ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების საკითხის განხილვის მიზნით წარსადგენი დოკუმენტები

1. ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების საკითხის შესასწავლად, საწარმომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) საწარმოს ხელმძღვანელის წერილობითი მიმართვა;

ბ) პარტნიორთა/აქციონერთა კრების, უფლებამოსილ პირთა გადაწყვეტილება ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების შესახებ;

გ) ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების განხორციელების თაობაზე იმ კრედიტორთა თანხმობა, რომელთა მოთხოვნა შეადგენს კრედიტორთა (სახელმწიფოს გარდა) მოთხოვნების საერთო მოცულობის ორ მესამედზე მეტს;



დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ან/და თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობა შესაბამისი ბიუჯეტის მიმართ რიცხული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის შესახებ. თუ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულ(ებ)ის ბიუჯეტ(ებ)ის მიმართ საწარმოზე რიცხული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება არ აღემატება ამ ბიუჯეტ(ებ)ის საკუთარი შემოსულობების 5 პროცენტს, აღნიშნულ თანხმობას გასცემს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო, ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში კი – ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

ე) ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების გეგმა;

ვ) წინადადებები ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების გაყინვის ან/და გადავადების პირობებისა და ვადების შესახებ;

ზ) შესაბამისი საგადასახადო ორგანოს/ორგანოების მიერ გაცემული ინფორმაცია ან შედარების აქტი საგადასახადო დავალიანების (გადასახადების ცალკეული სახეების, ჯარიმებისა და საურავების მიხედვით) შესახებ;

თ) დებიტორებისა და კრედიტორების სია (თანხების მითითებით), დამოწმებული საწარმოს ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის მიერ;

ი) უძრავი ქონების ჩამონათვალი და ამ ქონების ღირებულების შესახებ აუდიტორული დასკვნა;

კ) საწარმოს ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის მიერ დამოწმებული გასული და მიმდინარე წლის (შესაბამისი პერიოდის) საბუღალტრო ბალანსები;

ლ) საწარმოს ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის მიერ დამოწმებული დოკუმენტი გადახდისუუნარობის განმაპირობებელი მიზეზების აღწერის შესახებ.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის (ან საწარმოს წერილობითი მოთხოვნით, ერთ-ერთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, დანარჩენი დოკუმენტების) მიღების შემდეგ დოკუმენტებსა და შესაბამის ინფორმაციას წარუდგენს კომისიას.

3. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს არ ევალება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“ და „ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების წარდგენა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 5. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 6. სასესხო დავალიანების უიმედო სესხად აღიარებისა და ჩამოწერის, ოდენობის დაზუსტების, პატიების, მესამე პირისათვის გადაკისრების და დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობის საკითხის განხილვის მიზნით წარსადგენი დოკუმენტები

1. სასესხო დავალიანების უიმედო სესხად აღიარებისა და ჩამოწერის საკითხის შესასწავლად საწარმომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს:

ა) წერილობითი მიმართვა (განცხადება);

ბ) იმ პირობების (მიზეზების) აღწერა, რომელთა გამოც საწარმო ითხოვს სასესხო დავალიანების უიმედო სესხად აღიარებასა და ჩამოწერას;

გ) დოკუმენტები სესხის გაცემის საფუძვლის, სესხის ოდენობის, განხორციელებული გადახდებისა და სასესხო დავალიანების ოდენობის თაობაზე;

დ) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ:

დ.ა) სასესხო დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად გატარებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები;

დ.ბ) საწარმო ამოღებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ან ლიკვიდირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ.გ) სამეურვეო ქონება გაიყიდა ერთიანი ქონებრივი კომპლექსის სახით და საწარმო ახალ შემქმნეზე, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, გადავიდა დაუტვირთავი და ვალებისაგან თავისუფალი;

დ.დ) სასესხო დავალიანების მქონე საწარმოს გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან/და რეაბილიტაციის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას, კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ არ იქნა აღიარებული და სასესხო დავალიანება არ აისახა კრედიტორთა მოთხოვნების რეესტრში;

დ.ე) დავალიანების დაფარვა შეუძლებელია საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე;

დ.ვ) სესხთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

2. სასესხო დავალიანების ოდენობის დაზუსტების ან/და პატიების საკითხის შესასწავლად საწარმომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს:

ა) წერილობითი მიმართვა (განცხადება);

ბ) იმ პირობების (მიზეზების) აღწერა, რომლებიც წარმოეშვა საწარმოს, და რამაც გამოიწვია დავალიანების ოდენობის დაზუსტების ან პატიების საკითხის განხილვის მოთხოვნა სათანადო დასაბუთებით,



დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად;

გ) დოკუმენტები სესხის გაცემის საფუძვლის, სესხის ოდენობის, განხორციელებული გადახდებისა და სასესხო დავალიანების ოდენობის შესახებ.

3. სასესხო დავალიანების მესამე პირისათვის გადაკისრების ან/და დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობის საკითხის შესასწავლად საწარმომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს:

ა) წერილობითი მიმართვა (განცხადება);

ბ) იმ პირობების (მიზეზების) აღწერა, რომელთა გამოც საწარმო ითხოვს სასესხო დავალიანების მესამე პირისათვის გადაკისრებას ან/და დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობას;

გ) დოკუმენტები სესხის გაცემის საფუძვლის, სესხის ოდენობის, განხორციელებული გადახდებისა და სასესხო დავალიანების ოდენობის თაობაზე;

დ) სასესხო დავალიანების მესამე პირისათვის გადაკისრების ან დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობის მიზანშეწონილობისა და მესამე პირის მიერ გადახდის შესაძლებლობის დასაბუთება და მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დასადები ხელშეკრულების პროექტი ან მესამე პირსა და მოვალეს შორის დადებული სათანადო ხელშეკრულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის (ან საწარმოს წერილობითი მოთხოვნით, ერთ-ერთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, დანარჩენი დოკუმენტების) მიღების შემდეგ, დოკუმენტებსა და შესაბამის ინფორმაციას წარუდგენს კომისიას.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 7. ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების რეჟიმში მომუშავე საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად გაფორმებულ გრაფიკში ცვლილების მოთხოვნისას წარსადგენი დოკუმენტები

1. ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების რეჟიმში მომუშავე საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად გაფორმებულ გრაფიკში ცვლილების მოთხოვნისას, მიმართვის წერილთან ერთად, საწარმომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინოს:

ა) ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების თაობაზე მოქმედი ხელშეკრულებისა და მის თანახმად გაფორმებული გრაფიკის ასლები;

ბ) არსებული გრაფიკის მიხედვით გადახდის განუხორციელებლობის განმაპირობებელი მიზეზების აღწერა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საწარმომ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების პერიოდში წინასწარ (ვადამდე) დაფარა რესტრუქტურირებული თანხის ნაწილი შესაბამისი პერიოდისათვის დარიცხულ სარგებელთან ერთად);

გ) წინადადებები არსებულ გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის მიღების შემდეგ, დოკუმენტებსა და შესაბამის ინფორმაციას წარუდგენს კომისიას.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 8. კომისიის სხდომისათვის მასალების მომზადება

1. საწარმოს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი საწარმოს წერილობითი მიმართვა (განცხადება), თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, განსახილველად გადაეცემა, შესაბამისად, შემდეგ სტრუქტურულ ქვედანაყოფს/ორგანოს:

ა) საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურირებისათვის ან/და შიდა საკრედიტო რესურსებიდან გაცემულ სესხებთან დაკავშირებული – სახაზინო სამსახურს;

ბ) საგარეო საკრედიტო რესურსებიდან გაცემულ სესხებთან დაკავშირებული – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტს.

2. შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი/ორგანო შეისწავლის წარდგენილ დოკუმენტაციას და თუ წარდგენილი არ არის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრული პაკეტი, აღნიშნულის შესახებ მიმართვიდან (საქართველოს ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი) არა უგვიანეს 14 კალენდარული დღისა, აცნობებს საწარმოს.

3. დამატებითი დოკუმენტაციის წარსადგენად საწარმოს უწესდება ვადა არა უმეტეს 20 კალენდარული დღისა, რომელიც გამოითვლება შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის მომდევნო სამუშაო დღიდან.

4. თუ საწარმო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართვიდან 20 კალენდარული დღის ვადაში ვერ უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის წარდგენას (ან არ არის საწარმოს წერილობითი მოთხოვნა ერთ-ერთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში საქმის კომისიისათვის გადაცემის შესახებ), საწარმოს წერილობით ეცნობება საკითხის განუხილველად დატოვების თაობაზე, ამ მუხლის მე-3



პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან არა უმეტეს 7 კალენდარული დღისა.

5. საკითხის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, საწარმოს უფლება აქვს იმავე საკითხზე განმეორებით მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ამ დებულებით დადგენილი წესით და წარუდგინოს შესაბამისი განახლებული დოკუმენტაცია.

6. ამ დებულების მე-4, მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის (ან საწარმოს წერილობითი მოთხოვნით ერთ-ერთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში დანარჩენი დოკუმენტების) მიღებიდან არა უგვიანეს 14 კალენდარული დღისა, კომისიისათვის წარსადგენი ინფორმაცია (დოკუმენტაცია) გადაეცემა დეპარტამენტს.

7. (ამოღებულია - 12.12.2014, №680).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 9. კომისიისათვის წარსადგენი ინფორმაცია

1. ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით მომზადებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) საწარმოს შესახებ ზოგად მონაცემებს;

ბ) საწარმოს მოთხოვნას (წინადადებებს) ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის პირობების შესახებ;

გ) მონაცემებს საგადასახადო დავალიანებების ოდენობისა და სტრუქტურის თაობაზე;

დ) ზოგად მითითებას, რამდენად შეესაბამება საწარმოს მიერ წარდგენილი დოკუმენტები მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩამონათვალს;

ე) საწარმოს მიერ წარდგენილი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობისა და გადახდისუნარობის განმაპირობებელი მიზეზების აღწერას;

ვ) იმ ღონისძიებების აღწერას, რომელთა განხორციელებას გეგმავს საწარმო რესტრუქტურიზებული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების დაფარვისა და საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, ასევე საწარმოს პროგნოზს მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

2. სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით მომზადებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) საწარმოს შესახებ ზოგად მონაცემებს;

ბ) საწარმოს მოთხოვნას (წინადადებებს) სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის პირობების შესახებ;

გ) მონაცემებს სასესხო დავალიანების ოდენობისა და სტრუქტურის შესახებ;

დ) ზოგად მითითებას, რამდენად შეესაბამება საწარმოს მიერ წარდგენილი დოკუმენტები მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩამონათვალს;

ე) სესხის გაცემასთან, სარგებლობასა და დაბრუნებასთან დაკავშირებულ ზოგად ინფორმაციას;

ვ) საწარმოს მიერ წარდგენილი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობისა და გადახდისუნარობის განმაპირობებელი მიზეზების აღწერას;

ზ) იმ ღონისძიებების აღწერას, რომელთა განხორციელებას გეგმავს საწარმო რესტრუქტურიზებული სასესხო დავალიანების დაფარვისა და საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, ასევე, საწარმოს პროგნოზს მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

3. (ამოღებულია - 12.12.2014, №680).

4. სასესხო დავალიანების უიმედო სესხად აღიარების, ჩამოწერის, ოდენობის დაზუსტების, პატიების, მესამე პირისათვის გადაკისრებისა ან/და სხვა იურიდიული პირისათვის მოთხოვნის უფლების გარკვეული დისკონტით დათმობის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მომზადებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) საწარმოს შესახებ ზოგად მონაცემებს;

ბ) სესხის გაცემასთან, სარგებლობასა და დაბრუნებასთან დაკავშირებულ ზოგად ინფორმაციას;

გ) მონაცემებს სესხის უზრუნველყოფის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მონაცემებს სასესხო დავალიანების ამოღების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) გარდა ზემოაღნიშნულისა:

ე.ა) დავალიანების ჩამოწერის მოთხოვნისას – მითითებას საწარმოს მიერ სასესხო დავალიანების გადახდის შეუძლებლობის განმაპირობებელი მიზეზების შესახებ;

ე.ბ) დავალიანების ოდენობის დაზუსტების ან/და პატიების საკითხის განხილვისას – მითითებას მიზეზების შესახებ, რამაც განაპირობა დავალიანების ოდენობის დაზუსტების ან პატიების საკითხის განხილვის მოთხოვნა, საწარმოს მიერ წარდგენილი დასაბუთებით;

ე.გ) დავალიანების მესამე პირისათვის გადაკისრების ან/და სხვა იურიდიული პირისათვის მოთხოვნის დათმობის საკითხის განხილვისას – მესამე პირისათვის მოთხოვნის დათმობის ან/და ვალის გადაკისრების მიზანშეწონილობის საწარმოს მიერ დასაბუთებას.

5. ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მომუშავე საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად გაფორმებულ გრაფიკში სათანადო ცვლილების შესატანად, კომისიისათვის წარსადგენი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) საწარმოს დასახელებას;



ბ) ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირაციის საფუძველს;

გ) ხელშეკრულების გაფორმების თარიღს, რესტრუქტურირებული დავალიანების ოდენობას და რესტრუქტურირაციის პირობებს;

დ) მონაცემებს ვალდებულების უზრუნველყოფის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) რესტრუქტურირებული დავალიანების გადახდის ვალდებულების შესასრულებლად საწარმოს მიერ განხორციელებულ გადახდებს;

ვ) არსებული ხელშეკრულების გრაფიკის მიხედვით გადახდის განუხორციელებლობის მიზეზებს და საწარმოს მიერ წარდგენილ წინადადებებს ხელშეკრულების გრაფიკში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. კომისიისათვის წარსადგენი ინფორმაცია არ უნდა აღემატებოდეს 3-4 გვერდს (დანართების გარეშე) და იგი მზადდება საწარმოს მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე.

7. ინფორმაციაში უნდა მიეთითოს ინფორმაციის მომზადებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის/ორგანოს დასახელება და ინფორმაციის მომზადების თარიღი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 10. კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

1. კომისიის სხდომაზე საკითხები განსახილველად გამოაქვს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს/ორგანოს.

2. თუ განსახილველად წარდგენილი დოკუმენტების შინაარსობრივი მხარე არ იძლევა საკმარის საფუძველს გადაწყვეტილების მისაღებად, კომისია უფლებამოსილია, გადადოს საკითხის განხილვა და დაავალოს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს/ორგანოს საკითხის დამატებით შესწავლა (მათ შორის, დაინტერესებული მხარის მიერ დამატებით წარდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით) და განუსაზღვროს ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს 30 კალენდარულ დღეზე მეტი. ამ პერიოდის განმავლობაში ჩერდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება.

3. კომისია:

ა) პერიოდულად განიხილავს საკითხს რესტრუქტურირაციის რეჟიმში მომუშავე საწარმოების მიერ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირაციის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ;

ბ) ყველა დოკუმენტის (ან საწარმოს წერილობითი მოთხოვნით ერთ-ერთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, დანარჩენი დოკუმენტების) მიღების შემდეგ, ორი თვის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას ამ დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საკითხების თაობაზე.

4. კომისიის სხდომის გამართვიდან ერთი თვის ვადაში დეპარტამენტი, შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან/ორგანოსთან ერთად, უზრუნველყოფს სხდომის მიმდინარეობისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ კომისიის სხდომის ოქმის ხელმოწერას ამ დებულების მე-3 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად.

5. კომისიის მიერ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირაციის, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირაციის რეჟიმში მომუშავე საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად გაფორმებულ გრაფიკში სათანადო ცვლილების შეტანის, ასევე, სასესხო დავალიანების მესამე პირისათვის გადაკისრების ან/და დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობის, ცალკეული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების ოდენობის დაზუსტების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კომისიის სხდომის გამართვიდან ერთი თვის ვადაში:

ა) საწარმოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირაციის პირობები, ვადები და რესტრუქტურირაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, დგება რესტრუქტურირებული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების დაფარვის გრაფიკი;

ბ) კომისიის გადაწყვეტილების პირობების შესაბამისად, დგება შესაბამისი რესტრუქტურირებული დავალიანების დაფარვის ახალი გრაფიკი;

გ) შესაბამის მხარეებსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის იდება ხელშეკრულება სასესხო დავალიანების მესამე პირისათვის გადაკისრების ან/და დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობის შესახებ.

6. (ამოღებულია - 12.12.2014, №680).

7. ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირაციის, საწარმოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე საგადასახადო ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირაციის ვადამდე შეწყვეტის, ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების ან/და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირაციის რეჟიმში მომუშავე საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად გაფორმებულ გრაფიკში სათანადო ცვლილების შეტანის, სასესხო დავალიანების უიმედო სესხად აღიარებისა და ჩამოწერის, პატიების, მესამე პირისათვის გადაკისრების, დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა



იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობის თაობაზე კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ოქმის ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, შესაბამისი დასკვნა ეგზავნება საწარმოს. დასკვნა უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტებს ან/და შენიშვნებს, რომელთა გამოც საწარმოს უარი ეთქვა დასმულ საკითხზე.

8. ვადაგადაცილებული საგადასახადო ან/და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურის ვადამდე შეწყვეტისას ინფორმაცია ეგზავნება შესაბამისად შემოსავლების სამსახურს ან/და საწარმოს.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №680 – ვებგვერდი, 15.12.2014წ.

მუხლი 11. საქართველოს მთავრობისათვის მასალების წარმოდგენა

კომისიის მიერ ამ დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საკითხებზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დეპარტამენტი შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან/ორგანოსთან ერთად უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი მასალების (საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის) მომზადებას და საქართველოს მთავრობისათვის წარმოდგენას, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

